



ლახტი



№ 4

კვირა, 30 მარტი.

ერთი წლით ჟურნალი დარს 2 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით 1 მან. 25 კაპ. წერაღები და ფული უნდა გამოგზავნოთ შემდგომად აღნიშნულად: Тифлисъ. Мухравская 12, журналъ „ЛАХТИ“.

ფასი 5 კაპ.

№ 4



ბ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი .

გაზაფხული

ზამთრის ძალა დათურგნა,
 ცივი ქარი აღარა ქქრის,
 ტუეში მკელი გაიტურნა,
 დაძუნძულებს, ჩუმიდ დაძრწის...
 თვალს მოსწეინდა ზანტად თვლემს,
 შეკლის წუერი ჯადად დასტის,
 გაიღვიძა სიტაცსლემა,
 ბადში ფარდა თავს იფარცხნის...
 აუვაფილდა, აბობნდა
 უაყანო და ნაზი ია,
 დილის ცვაზმა გადაწმინდა,
 მზემ სხივები დააფრქვია...
 უხარიაწ უველა სულდგმულს,
 ისმის ფრინველთ „ტია-ტია“!
 ტორფას გასძახის ბუღბუღს,
 შეეჯობრა, შეუტია...
 ნაკადული მოჩუხჩუხებს,
 შინდორ-გულებს უაღერსებს,
 ანაუფერებს, აბუბუყებს
 მუშის ნაშრომს და ნათესებს...
 აკერ ცამაც გააუფავ,
 გაზაფხულის წვიმა მოდის,
 შორს გამოჩნდა ცისარტყელა...
 დურთო, ნაუფთეს მოგვცემ, როდის?!

გ. თეძმისხეველი.

ა. ჯორჯაძის ხსოვნას.

მოკვდა იგი, ფინტ მინამდი
 საიმედოთ სიმს აუღერდა,
 და მოძმეთა ტანჯვა სნებას
 ხმა მადლდა რომ მდეროდა!

მაკვდა ჩვენი საიამაუე,
 თვალთ დახუჭა მიიძინა,
 ჩვენ გაგვშორდა და მიწაში
 სამუდამოდ ქმრავა ბიან!

მაგრამ იგი არ მომკვდა,
 მძაფრდა სტემს მისი გული,
 იგი კვლად ჩვენთან არის,
 ჩვენი შვიკა—სიხარული.

ი. მომავალიშვილი.

პროფესია

სისხლის მოსამართლე, ექიმი და
 მთავრობის მოხელე ეკამათებოდნენ
 ერთმანეთს პროფესიის სიძველის
 გამო. ყოველი მათგანი თავისას
 აყენებდა წინ.

დაიწყო მოსამართლემ: „ჩემი პრო-
 ფესია თქვენსაზე უძველესია; თქვენ

არც კი იცით რა დროიდან იწყება
 სისხლის მოსამართლე?.. სისხლის სა-
 მართლის დასაწყისი კაინმა, რომ
 აბელი მოჰკლა, იმ დღიდან არის,
 იმ დღეს გაირჩა პირველი საქმე კა-
 ცის მკვლელის და დაარსდა კიდევ
 იქიდანო“.

ექიმა სთქვა:—ჩემი პროფესია,
 რომ შენზე უწინ გამოგონილია,
 ამას რათ არ მიჯერებ? პირველი
 ქირურგიული აპერაცია აღამზე სცა-
 და ღმერთმა, ევა მის წიბოდან შეპ-
 ქმნა, მაშინ საღ იყო კაინი და
 აბელი?..

მთავრობის მოხელემ სთქვა:—
 თქვენ გიჯობთ ჩუმათ იყოთ და ჩემ-
 გან თქმული გაიგონოთ! ჩემი პრო-
 ფესია ყოველ ხელობაზე აღრინდე-
 ლია; მინამდი აღამ და ევა გაჩნდე-
 ბოდა, სამოთხის მცველი თავის სა-
 დარაჯო ბინაზე იღვა, მაშინ თქვენი
 პროფესია ვის ახსოვდაო“!

ჭიჭიკო.

ჩემი შუქურა

ჩამოკვარ თათა სამებს შუქურავ
 და გამაკნე ქანგი ციური,
 მომიძღვენ ჩაგრულს ლექსები ტკბლი,
 შიგ ჩაურთევი აზრა ღვთაური.

როცა ცხოვრების დიდ მოედანზე
 აზვიართდა ტაღდა ტაღდა ძლიერი
 და ამ ცხოვრების უკუდმართობამ,
 მომისხო მე დრო, დრო—ბუღნიერი.
 შენც გამოფრინდი ჩემო შუქურავ
 და დაბინაუდა სულ უცხო მხარეს,
 სულ სხვას დაუტკებ დღენი ცხოვრების
 მე კი აქ ვსვამდი ფილდით შწარეს.
 შენი აღერსი როს ჩამომშორდა,
 ისეც ცხოვრებათ განამწარებულს,
 აუტანელი განდა სიტაცსლევე
 ვერ შეუფრთხიდა მას—დასაყსებულს.
 განვლო დროებამ, ჩემო ჩუქურავ,
 შენც ცხოვრებასაც ეცვალა ფერი
 სხვის ახარებულ ჟანაზობამ
 გადაგისხვავდა ტურთავ იერა.
 განგიქრენ დრონი კეკლუცობისა,
 ბავშვური გრძნობა და ოცნებანი
 და აწ კი გრძნობ როს დაბრძენებულსა
 თუ საღ მიჭვავს კაცს თვისი ფრებანი.

მომიხსლოვდი ჩემო შუქურავ,
 და გამაკნე ქანგი ციური
 ნუ, ნუ გრცხვენთან ვაწამებ ისევე,
 მასმინე ხმანი წყნარ ღვთაური.

პ. კოშოროძე.

თარგმანი რუ უ ლ დან

ტუესა ქვაფავენ... ტუესა ჯერ ნარხნა
 და ახალ მოზარდს;
 მოხუცნი ცაცხენა სეუღანნი უმხურენ
 ამას
 მწარე ნადგლით გუჯის ისეჩვენ ფიქრთ
 საყსენი...
 მათ დაღმენებულს თვალს იტაცვენ ცისა
 სივრცენი.

ტუესა ქვაფავენ... წადგან იმან აღრე
 დაიწყო
 ფოთაღთ შრიალი, მას სიმღერა თვისი
 შეაწყო,—
 და ამ სიმღერით აღვიძებდა იგი ბუნებას,
 უღაღანებდა ერთობას და თავისუფლებას.

ტუესა ქვაფავენ... მაგრამ მიწა ჩამარხს
 თესლებს,
 განვლენ ჟამნი და კვლად იმათ აღმო-
 აცხენებს;
 გაძლიერდება ახალ ძალით მებრძოლთა
 მხარე,
 კვლავ გაცოცხლდება მათ სიმღერათ
 ძველ ძმათ სამარე.
 გ. ნ.

სამუთხლთხათხი

დღის ნათელი შეუმჩნევლად შე-
 ეპარა მძინარე ბუნებას. წყვილიაღმა,
 ხლაზენით, მიატოვა ის აღგილი,
 საღაც ნათელმა მოიკიდა ფეხი. და-
 მის მონადირეებმა, რა იგრძნეს გა-
 თენება, საჩქაროთ მიაშურეს თავიანთ
 ხერელ-სოროებს. ბუნებამ გაუღიმა
 დღის ნათელს, შეიშპუნა, აშოია-
 ლდა, ააქღერა დიდებულნი სიმნი,
 თავის გულ-მკერდზე გამობმულნი
 და სახატებო ჰანგი მიუძღვნა გან-
 თილს. ტოროლამ თვალეგი გაა-
 ხილა, შეფთხრიალდა, მიეშვა ცის
 სივრცეში და თავის წკრიალა ხმით
 ამცნო მძინარე სულიერათ გათენება.
 საღლაც, ბუჩქნარიდან, გამოიკვნე-
 სა საღამურმა. ბუნებამ ხმა გაკმინ-

და, დადუმდა, სმენად გადაიქცა. სალამურის სანეტარო ხმამ მოაჯადოვა ყველა, სულიერი თუ უსული. ბუნებამ ყური დაუგდო სალამურის მკვნესარე ჰანგებს. მიხვდა, რომ ადამის ძე უზიარებს სალამურს თავის მწუხარებას და სალამურიც კვნესით ამცნებს ბუნებას თავის პატრონის გულის წუხილს.

მთის ბუნება გაკვირვებით, მისჩერებია იმ ადგილს, საიდანაც სალამურის ხმა ისმის. ბუნება ფიქრობს და ვერ მიმხვდარა, თუ რა აწუხებს ადამის ძეს, ამ მეფეს ბუნებისას, ამ გონებით მძლავრს სულიერს სულიერთა შორის. იგი მის გულზეა დაბადებული, ის აძლევს მას უხვად საზრდოს და ნუ თუ ამ გონიერ სულიერს ვერ მოუხმარებია ეს უხვი საზრდო?

მთის ბუნება კითხვის თვლით მისჩერებია იმ ადგილს, საიდანაც სალამურის ხმა ისმის. სალამური კი კვნესის, ბუნება არას უპასუხებს; ქვითინებს სალამური. ბუნებას გული ედალება მისი კვნესა-ქვითინით. აქნობამდის მას არ უგრძნია ადამიანის სულის წამება. ის საზარელი კვნესა, რომელიც კაცთა სამყაროდან მიღწეულა მის ყურამდინ, მას კაცთა ზეიმის ხმად შესმენია და ისიც გამხიარებულა. კაცთა-კვნესა-ტირილზე მას ცეკვა თამაში გაუმართავს. ესლა კი, როდესაც სალამურის ხმამ ძალა უნებურად მიიქცია მისი გონება, ბუნებამ იგრძნო რომ კაცს საზარელი ჭმუნვა დასტებია თავზე.

დიდხანს იყო გარინდებული, ბუნება დიდხანს უგდებდა ყურს სალამურის კვნესა-ქვითინს. მერე ერთბაშად შეინძრა, შეარხია ხენი, ბუჩქნარნი და დააყენა კორიანტელი.

გაფუქდა საამო დილა, გაძლიერდა სტიქიონი. ბუნება არა სცხრება. ბუნება მძვინვარებს. ბუნებას სურს რომ თავისი სისასტიკით ხმა ჩაუკმინდოს სალამურს, რომ ტკბილი გუნება არ გაუმწაროს.

ბუნება ბორბოქობს, ღრიალებს, ქარ-ბუქს აყენებს.

სალამური კი განაგრძობს კვნესა-ქვითინს. მას მთის ქარტეხილი ვერ აყუჩებს.

ბუნება შესდგა და ყური დაუგდო. მას კვლავ მოესმა სალამურის ხმა რომელიც სიცილ-ხარხარს აყრიდა თავსა და ეუბნებოდა: „რა, ბუმბერაზ მთის ბუნებავ, შენ გსურდა რომ მაგ ქარტეხილით ხმა ჩაგეკმინდებინა ჩემთვის? ათასჯერ მაგ ქარტეხილზე მძლავრნი ქარტეხილნი მძვინვარებს ხოლმე კაცთა სამყაროში, ათასობით მინახავს მაგაზე მძლავრნი სტიქიონნი კაცთა ცხოვრებაში. შენ გგონია, რომ მაგ ქარტეხილით გამაკვირვებდი? არა შენ გრცხვენოდეს თორემ შენ მაგ შენის სისასტიკით ვერას დააკლებ ჩემს ამაყ გულს. გამოვექეცი კაცთა სისასტიკეს, შემოვაფარე თავი შენს გულ მკერდს, მსურდა წამს მინც მეგრძნო სიამოვნება შენს გარინდებულ ბუნების წიაღში, მინდოდა შენთვის გამეზიარებინა ჩემი ჭირ-ვარამი და შენ კი რა მოინდომე ჩემთვის?! არა უშავსრა ვერც შენ და ვერც ცხოვრების სისასტიკე ვერას დააკლებთ ჩემს გასაღკლდევებულ გულს. გული შეეჩვია ყოველ სისასტიკეს“.

მთის ბუნება ყურს უგდებდა. დარცხვენით მან მიუგზავნა ყრმას ნიავი, რათა მას პატიება ეთხოვნა ყრმისთვის. ნიავმა შეუთამაშა ყრმას პირსახეზე, აუფრიალა ქოჩორი; თვალები დაუკოცა და ნელის ხმით პატიება სთხოვა.

ამ დროს ხის ტოტებმაც თავი დახარეს ყრმის წინაშე, ასკილის ყვაფილი ტუჩებზე დაეკონა ყრმას და ნამი შეასვა. ბულბული, რომელიც აქნობამდინ სალამურის ხმით მოჯადოვებული, გარინდებულიყო, ესლა სტვენად გადაიქცა.

ყრმამ ნეტარება იგრძნო. ის მიყრდო ბუჩქს და ნეტარებით თვალე-ბი დახუჭა. ყრმას ჩასთვლიმა. ბუნება დაეპატრონა მძინარეს. მან ჩაიკრა გულში თავის პირმშო შეილივით და საუცხოვოდ უმღერა მშობლიური ნანა.

დღის გუშაგი უკვე ამოსცურდა ბუმბერაზ მთის მწვერვალებიდან და თავის მცხოველ-მყოფელი სხივები სტყორცნა ახლად გაღვიძებულ არემარეს. მამლები უკვე მოქანცულიყვნენ ყვილით და სოფელმა კი ესლა გაიღვიძა. სჩანს მზის ძალამ იმოქმედა.

მძინარე ყრმასაც ეწვია ერთი ცე-ლქი სხივი. მან ჯერ ქოჩორი აუბრჭყვილა და მერე თვალეზე შეუთამაშა. ყრმამ თვალეები გაახილა და მოუსვენარ მზის სხივს გაუღიმა. სოფლიდან მას საქონლის ბღავილი და მწყემსთა სტვენა-ძახილი მოესმა. ის მიხვდა რომ დრო მოსვლოდა მას ხალხში დაბრუნებისა, რათა მომზადებულიყო ხალხში გასამგზავრებლად. ყრმა წამოდგა, მიმოავლო თვალი იქაურ არემარეს და მიჰმა-რთა შემდეგი სიტყვებით: „მშვიდობით ჩემო საყვარელო, სამშობლოს გულ-მკერდო! მშვიდობით ედემის მზკავსო ბუნებავ! გეთხოვები, რაღა განაც შორს მივემგზავრები მე შენი შვილი. კარგა ხანი გაივლის, რომ მე შენი მშვენიერებით ველარ დავსტკბე. ან ვინ იცის, იქნება ეს გამომშვიდება სამუდამოც იყო?! იქნება არ დამინდონ სხვა ქვეყნის აზვირთებულმა ტალღებმა მე უცხო უსუსური ყმაწვილი და გამომქული-ტონ თავიანთ საშინელ ხეთქებაში?! მაშინ ხომ ველარ იხილამს ჩემი თვალეები შენ მშვენიერებას? ხომ ველარ ვიგემებ მე შენს სიცოცხლის მომნიჭებელ ძალას?“

ყმაწვილმა ვერ შენიშნა როგორ მიუახლოვდა მას ერთი ხანში შესული კაცი და გაჩერდა მის შორი-ახლოს. ეს იყო მისი მასწავლებელი. ყმაწვილი განაგრძობდა:

„მაგრამ ყველა ამეების შიშით არ შევფერხდები. მე ვშორდები ჩემს ლამაზ სამშობლოს და მივემგზავრები უცხო ქვეყანას წმიდა დანიშნუ-ლებისთვის... წმიდააო მეუბნება ჩემი მასწავლებელი. ის გონიერი კაცია, ბრძენი. ის ყოველთვის მართალს ლაპარაკობს, ის არა ზოგავს

თავის ძალ-ღონეს. თავის ქონებას ჩემი სწავლის შესაძენად. სამშობლო საჭიროობს მეტ ნასწავლ ხალხს. სამშობლო დაქვეითებულია უფსკრულისაკენ და საჭიროა უფრო მეტი სწავლულნი, რომ განვითარებული გონებით და მძლავრი ბუნებრივი ნიჭით ფეხზე დააყენონ და დაყვავონ წაფორთხილებული ქვეყანაო. შენში ვხედავ დიდ ნიჭს და დიდ უნარს გამოიჩინე თუ ეცდები და ისწავლიო. მე ვეცდები მთელი ჩემი ძალ-ღონით რომ ვისწავლო, ვისწავლო და გამოვადგე რითიმე ჩემს საყვარელ სამშობლოს. მშვიდობით მშვენიერო ბუნებავ, ჩემი ქვეყნის სიამაყევი მართალია ვშორდები შენს ნეტარებით სავსე წილს, მაგრამ იმ იმედით, რომ სხვა ქვეყანაში ვბოვებ მე სწავლავანათლებას, დაუბრუნდები ჩემს ქვეყანას სრული გამოცდილებით და შეუერთდები იმ ხალხს, რომელნიც იღვწიან ჩვენი ქვეყნის ასალორძინებლად, მე სრულს ნეტარებას მაგრძნობინებს. მამხნევებს და ერთი ორად შიმატებს ძალ-ღონეს. მშვიდობით!“

ყმაწვილი მობრუნდა შინ წასასვლელად, მაგრამ რა შენიშნა მასწავლებელი, შერცხვა და თავი ჩაღუნა. მის მასწავლებელს თვალბეჭეცრემლი მორეოდა სიხარულისაგან. მან ჩაიკრა გულში თავის მოწაფე და მამაშვილურად დაჰკოცნა. წავიდეთ, დროა. წასასვლელად მოემზადოთ. არა... არ მოკვდება ისერი რომელიც შენისთანა შვილებს შობავს. — ლულულულებდა გზა-გზა და ნეტარების ცრემლი სდიოდა.

პლატონ კოშორიძე.

ღელვას სულისა

დადუმდა ენა, დასჭვნა ოცნება,
მაცოცხლებელი ჩემი სულისა,
სულის სამეფოს ურფა ეუფფა,
გაჭქრა იმედი სიხარულისა.
დაიმსხვრა აზრი, ფაქიზი მცნება,
დასწვდა სიმები ჩანგის ღვთიურსა,
ანგელოზთ გუნდმაც შესწვივითა ლხენსა
დაარ გადობენ ჭანგსა ციურსა.

აზვითრდა გრძობა, ვით ზღვა მდელვარე,
განადგურა გონება მიღვარე;
გრძობისა ზვირთი ძლიერი არის,
იგი ზღვა არის, ზღვა ბობოქარია...
შეირვა რწმენა, დახლუნდა ენა,
გლგამ წაიღო სულ უერთა სმენა,
აჭა, სიკვდილიც მტერი სულისა,
ჭა, დასასრული ჩემ სიცოცხლისა.
კ. კილაძე.

მგელი და ბატკანი

(არაკი)

ერთხელ ფარას ჩამოშორდა
დაქანცული ბატკანიო,
უხატონათ დაჩენილსა
არეოდა გზა-კვადიო
უცბათ მასთან გაჩნდა მგელი,
ბატკნის სუნი მისდენია,
ფეხ-აკრეფით ეხარება
(ეს ხომ ნადირის სენია).
დამშუქლსა, გაკეშილსა
თვალში სისხლი მოჭრეფია,
ტანს აჭრეფლებს მეტის ნდობით
დობლი მისდის მორეფია.

მიეპარა, ბეჩავ, ბატკანს
უცფად სტაცა მავრა კბილი
თავიდან და ფეხებამდე
აუწონა ძვალი, რბილი.
შეკრთა მეტად საცოდავი
და ბღავილი მორთო გელად,
გამოქცევა მოინდომა,
მოტეუება მგლისა სელათ.
მგელმა ბატკანს დაუფავა:
ნურას შიშობ, ზატარაო,
დედა-შენი კარდიცვავა,
შვილი მე ჩამაბარაო.

აქამდინ თუ გეშინოდა —
არვინ გეფანდა ზატარანიო,
ჩემ ხეჯში აწ გაიხარებ,
ხელს გერ გასლებს ბატკანიო.
იონჯა ბევრი გაქნება
არ მოგაკლებ წყაროს წყაღსო,
ისტუნე და იკუნტრუშე,
დაკეთარავ, ვით ჩემ თვალსო.
ჩაკუნტრუშეგს დაქანცულსა
დაკასვენებ რბილათაო,
ქვეშ გაგიშლი რბილ დოშაქსა
დაგაძინებ თბილათაო.
ჭირს და ვარამს აგაცილებ
არ მოგაკლებ ბანასაო,

მოგოჯდები შე-ლობილსა
ტბილათ გეტევი ნანასაო!
მოკწონა უგუნურს ბატკანს
მგლის სიტყვას და დარიგებას;
უნდა ვთქვათ, რომ დარიგება
უკეთესი არ იქნება.
ხოლოთ, — დაუფავა მგელმა, —
არ შემხედო მტრულათაო,
დაფიწეე ებ ბღავილი,
შემადახე მგლურათაო!
უხასუხა მგელს ბატკანმა:
მე გერ შეუძლებ მაგ-საო,
ვერ დაფტოვებ ჩვეულებას
ვერც ჩემ მამა-ზანასაო.
თუ არ მოკწონს ჩემი რჩევა
არ მიიღებ ჩემს წყისაო,
ესლავ წირვას გამოკიეფან
და ატიგებ ანდერძსაო!
სოქვა და იქვე გამოკუდა
ამომსო მუცელიო,
მგლისფერ ბატკნებისგან
კარგს ნურაფერს ნუ ელიო.
ი. ნაც-ი.

შაუკოვარი გედი

მიჭქრის, მიამბოს შეუზოვრად ცისა
კამარას,
გედი ლამაზი მოსრიალებს, უშინის
არას;
ხან ძირს გაეკვრის დედა-მიწას, ხან მადლა
მიჭქრის,
ხან ეფარება თვალთავან უსწრავის ფიქრს
ბევრჯელ დასცა ქარმისადმა ძირს
დადალუფი,
მაგრამ მფერინავს არ შეუდრკა მამაცი
გული...
...და კვლავ მოსწუდა დედა-მიწას იწევს
სულ მიდდა,
თითქოს ღარ აზირობდეს დაშვებან დაბდა,
ვიდრე არ ჭბოვებს საბუდარს, სად
დაიმევიდრებს,
და ბუნებაც მის წინაშე ქედს არ
მოიხრის!..

მამ ჩემო სულო, შეუზოვარო, მიჭბაძე
იმ გედს,
აიწი მიდდა! არ შეუდრკე უმოწუადო
ბედს!..
ს. ერთაწმინდელი.

ფოთის რამე-რუმე

ელევატორის „ყოველ მხრივ გამოკვლევის“ კომისიამ პირველი ძალუმი ნაბიჯი თავისი რთული მუშაობისა უკვე გადასდგა. ჯერ-ჯერობით ოთხის ხმით წინააღმდეგ სამისა გამგეობაში წარსადგენად შემუშავებულია შემდეგი დასკვნები:

1) დაუყოვნებლივ გაუქმებულ იქმნას რაც ქვეყანაზედ ნ. ნიკოლაძის მიერ გამოგონილი ელევატორი და სხვა ამ გვარი ტექნიკურ-მექანიკური მუშათა საზიანო მატურებანია. თითონ ნიკოლაძე საველო სასამართლოს წესით დაისაჯოს საგულისხმიეროდ შთამომავლობისა.

2) გაუქმებულ იქმნას რკინის გზა ამ ხანად ტფილისსა და ფოთს შუა, შემდეგ თან და თანობით ყოველგან, და აღდგენილ იქმნას ძველებური ჩქარი და უმარცხო საქარაენო გზა.

სხოლიო 1. რომ ეს სასურველი ცვლილება ნაყოფიერად და სასარგებლოდ გამოიყენოს ქალაქმა, დაევალოს ქალაქის გამგეობას ახლავე დაიბაროს ლაპლანდიდან საჭირო რიცხვი აქლემებისა და არაბეთიდან ჩრდილოეთის შინაური ირმები.

სხოლიო 2. ირმები საჭიროა იმ შემთხვევისათვის, უკეთუ შარშანდელივით პაპანება და გოლვიანი ზაფხული დადგა, რადგანაც დამტკიცებული და ცნობილია, რომ აქლემები სიცხესა და წყურვილს ვერ უძლებენ.

3) დანგრეულ იქმნას ნავთსადგური.

სხოლიო. ნანგრევის კენჭი და ქვიშა მოხმარდეს საქარაენო გზის გაკეთებას. აგრეთვე გაუქმებული რკინის გზის უქმად დარჩენილი რკინით გაკეთდეს ნალები აქლემებისა და ირმების დასაქვდად.

4) გაუქმებულ იქმნას სავაჟო გიმნაზია, ხოლო ნაცვლად იმისა დაარსდეს უმაღლესი სპეციალური კურსები ნაღბანდობისა.

5) ელექტრონით განათების მაგივრად შემოღებულ იქმნას მკვარით



ს ა ლ ა მ უ რ ი .

განათება და ამ მიზნით სამეგრელოს მთებზე გაიგზავნოს ხმოსანი თ. კემელავა, გურიის მთებზე გ. საბახთარიშვილი, რომ გამოიკვლიონ სად უფრო მეტია ფიქვნარ-ნაძენარი და საიდგან უფრო იაფად დაჯდება მკვარის მოტანა.

სხოლიო. მკვარი თუ წინდაწინვე დაზღვეულ იქნება ცეცხლისაგან კიდევ უკეთესი.

6) გაუქმებულ იქმნას ტელეფონი და ტელეგრაფი. ამის მაგივრად შესდგეს ფეხმარდ შიკრიკთა რაზმი, რათა მუშამ სამუშაო იშოვოს.

ყოველისავე ამის შესახებ საჭირო საბუთებით განმარტებული მოხსენების შედგენა მიენდოს ოპოზიციონერ ხმოსნებს ვ. მაღნარაძეს, ს. კილურაძეს და ს. დოლიძეს.

ამბობენ, ამ უკანასკნელმა ე. ი. ს. დოლიძემ მოხსენების შედგენაზედაც და ოპოზიციონერობაზედაც მტკიცე უარი განაცხადაო, რადგანაც, როგორც რკინის გზის კონდოქტორი, რკინის გზის გაუქმების

იდენს სავსებით ვერ იზიარებსო. რკინის გზაზე კანტროლის მოსპობა რომ ყოფილიყო დადგენილი, მაშინ სხვა იქნებოდა... ?!

შ ე ნ ა რ ი ც ო ლ ი

ერთხელ კისაღე ბადში მჯდომანკ, თვალტრემიანი დაფიქრებულა, ხელში გეგაფა ვარდის შტო ხმელა და დაჭურებდი დადონებულ.

* *

შენ არ იცოდა სატრფო ძვირფასი, რომ შენთვის სტემა ობოლი გული, შენ სხვას უცდიდი, სხვაზე ჭფიქრობდი, შე კი გიმზერდი სუფა მოცულა....

ნ. დავითიშვილი.

კ ო ც ნ ი უ ა მ ბ ა ვ ი

თუ მკითხველი არ გაგვიწყობა კოტაოდენ ცნობას მოვახსენებ კოცნის შესახებ. როდის მოხდა პირველი კოცნა? ამას რასაკვირველია, ვერც ერთი პატივცემული ისტორიკოსი და არქელოგი ვერ გვეტყვის. მაგრამ ამ ჟამადაც კი კოცნა ყველა ხალხს არა აქვს ჩვეულებად მიღებული და ეს გარემოება, დარვინის აზრით, იმას ამტკიცებს, რომ კოცნა ისეთივე უნებური ნიშანი არ არის ადამიანის გრძნობისა, როგორც მაიგალითად, სიცილი ან ცრემლი, არამედ კოცნა მხოლოდ ჩვეულებაა.

დიდ ოკეანეს კუნძულების მორისა, ტაიტისა, შავაუს მცხოვრებთ და ავსტრალიის მკვიდრ მცხოვრებთ კოცნა სრულიად არ იციან. კოცნა ჩვეულებად არა აქვთ აგრეთვე ამერიკის ესკიმოსებს. ვინაორდ რიღმა ერთს ზანგის გასათხოვარს ქალს აკოცა. ქალი საშინლად შეშინდა, რადგანაც სრულიად არ იცოდა, კოცნა რა იყო. ტელიორე ამტკიცებს, რომ ლიპლანდიის ქალბს კოცნა საშინლად ეჯავრებათო. ამას გარდა კოცნა არ იცის ისეთმა ხალხმა, რომელსაც ჩვეულებად აქვთ ტუჩების გახვრეტა და ტუჩებში ძვლების გაყრა.

სხვა და სხვა ხალხში კოცნა სხვა და სხვა გვარად იციან. აღმოსავლ-

თის მცხოვრებთ ჩვეულებათა აქვთ, დედაკაცობას ჯანთ საცმეოზე ჰკოცნონ. ეგვიპტელები პატივის ცემის ნიშნად ჰკოცნიან ხოლმე თავსა, ხელს და მერე ხელს თავზე იდებენ. სპარსელები პატივის ცემის ნიშნად ჰკოცნიან მიწას, ფეხებს და იმ ადგილს, სადაც ფეხი ედგა პატივისაცემ კაცს. არაბები ერთმანერთს ჰკოცნიან ლოყაზე და მერე თავის ხელებს იკოცნიან. ჰამისინიორა და ჩინეთის მცხოვრებნი კეთილშობილთა წინ მიწას ჰკოცნიან. ოსმალები ერთმანეთს რომ შეხვდებიან მხრებში ჰკოცნიან და როცა ჰშორდებიან—მუხლში. მაგრამ ყველაზე ძლიერ კოცნა ჰყვარებთა პოლონელებს.

კოცნა, რასაკვირველია, ძლიერ აღრეა შემოდებული, წერაზედაც აღრე იქნება, ლაპარაკზედაც კი. უწინდელ დროში ინდოელნი მზის ამოსვლის დროს დედამიწაზე პირქვე ემხობოდნენ, ხელებს ტუჩებზე იდებდნენ ხოლმე. ძველს აღთქმაში ხშირად არის კოცნა მოხსენებული. ებრაელთა მწერალნი სამ გვარს კოცნას აქებენ: 1) პატივისცემის ნიშნად სამუელმა აკოცა ახლად ნაკურთხს მეფეს საულს; 2) მისაღმების ნიშნად მოსემ აკოცა თავის ძმას არონს, როცა გზაში შეხვდა; 3) გამომშვიდობების დროს, რუფმა დაჰკოცნა თავისი რძალი, როცა ესალმებოდა.

ბერძნების ისტორიაშიც ხშირად შეხვდებით კოცნას. ჰომეროსი სწერს, რომ იტოკის მეფემ ულისმა ნოყიერი დედამიწა დაჰკოცნაო. ეგამემონონამაც აკოცა დედამიწას, როცა სამშობლოში დაბრუნდა. ივონა კოცნით ამშვიდებს ექვიანს ღმერთს ზევესსა. რომაელთ, უეჭველია, კოცნა ბერძნებისაგან ისწავლეს. პლინი ამტკიცებს, რომ კოცნა ძლიერ ძველი ჩვეულებააო. ტროის განადიგურების შემდეგ, ტროის მამა-კაცები ძლიერ იყვნენ გაჯავრებულნი და ცოლები კოცნით ამშვიდებდნენ თურმე თავიანთ ქმრებს. ისტორიკოსი პდონი ამბობს, რომ რომაელთა მეფობის დროს ქმრები თავის ცოლებს ტუჩებში ჰკოცნიდნენ და ამით

უნდა გაეგოთ ხოლმე ცოლებს, დეი. ნო ხომ არ დაუღევიო. შემდეგ რომაელთა შორის ისე გახშირდა კოცნა, რომ იძულებული იქმნენ კოცნა აეკრძალათ. უწინდელ დროს ქრისტიანები ერთმანერთს ჰკოცნიდნენ ძმობისა და ერთობის ნიშნად.

ხშირად ამტკიცებენ მკურნალები, რომ კოცნა მავნებელიაო, მაგრამ ყოველთვის ყოფილან და არიან ისეთი ახალგაზრდა კაცები და ტურფა უშიშარი ქალები, რომელნიც ვნებისა გამო კოცნას არ ერიდებიან. როცა კაცს ბედნიერი შემთხვევა ეძლევა ლამაზ ქალს ლამაზი ტუჩები დაუკოცნოს, მოდი მაშინ და გაიხსენე ჰიგიენურად მავნებელია-თქო!

საფრანგეთშიაც იყო რამდენიმე კანონი კოცნის შესახებ. ნიშნობის დროს დანიშნულ ქალმა უნდა აკოცოს თავის საქმროს, საქმრო კი მოვალეა ამ კოცნაში დანიშნულს ბეჭედი მისცეს. მარსელის ვაკონტმა ფუქსმა თავის დანიშნულს ერთს კოცნაში დიდი ადგილი აჩუქა რამდენიმე სოფლით.

ზოგჯერ კოცნა ძრიელ ძვირად გაყიდულა. ბანკირმა სკოლმონ გეინემ ერთ მსახიობ ქალს ანტუანეტა ლებრენს ათასი მარკა მისცა ერთ კოცნაში. ნიუ-იორკში საქველ-მოქმედო საქმისათვის ერთი ლამაზი ქალი ლედი დალლეი ფულს აგროვებდა. ბევრს მდიდარს კაცს აკოცინა და ბევრი ათასი დოლარი შეკრიბა.

მაგრამ სულ ძვირად გაყიდული კოცნა კი, რასაკვირველია, საიდუმლოდ ხდება ხოლმე ყოველთვის და მკითხველს ვერაფერს ვაუწყებთ ამის შესახებ.

რუმინის ქალაქ გოლმოგონში, ყოველ წლივ „კოცნის იარმუკა“ იმართება ხოლმე. ამ იარმუკაზე მდიან სოფლებიდან ახლად გათხოვილი, მორთულ-მოკაზმული ქალები ხელში ღვინით სავსე ღოჭები უჭირავთ, ვინც კაცი უხვდებათ, აკოცებენ, ღვინოს დააღვინებენ და კოცნაში ფულს ართმევენ. თუ კაცმა ქალს არ აკოცინა, ეს ქალი-

სთვის დიდი შეურაცყოფაა. ეს დღე კოცნის დღეა. ქალები ჰკოცნიან კაცებს ნაცნობსა და უცნობს ქუჩაში, სახლში, ერთის სიტყვით, სადაც კი კაცი შეხვდებათ.

რა ამბავი იქმნებოდა, რომ ეს ახარებული ჩვეულება ჩვენშიაც ყოფილიყო შემოდებული!..

ნაკერძქლები

სოლოლაკი.

სოლოლაკი, თბილისისა ცუდი მხარე (ის... კურტუმი) წინათ იყო არას მთქმელი, წინად იყო, წყნარი, ჩუმი, მაგრამ ბოლოს ახმაურდა, აბობოქრდა, ვით აღლუმი და ნათლულში გადიტანა ა ის... პოლიტეხნიკუმი.

აღ. იმედაშვილს (მსახიობს).
მესმის, ძმაო, შენი ბელი მწუხარე და ძალიან ღრმა: ნამდვილ ნიქსა ვერ აფასებს ბრბო უგნური, ბნელი და ბრმა. ისიც ვიცი, შენი გული ვინ შექამა, ვინ გამოლრღნა— შენთა დამფასებელთამცა მოვლენია ქვეყნით წარღვნა.

ი. ზარდალიშვილს. (მსახიობს)
იუზა, შენ ბევრსა შრომობ, ჯაფა-შორმის ღმერთსა ჰგებარ და ამიტომ, ჩემო ძმაო, შენ საქმეში წინა სდგებარ. ნინო და მარო.

ახალი ანიკდოუსი

ი. გედევანიშვილის პიესის „სინათლის“ გმირს ავთანდილს ცხრამთას იქიდან ოქროს შანდალი მოჰქონდა ქაჯთა მეფის, დავრიშის დავალებით. შეხვდნენ ფერიები და ავთანდილი განწმინდეს სულით, დაარიგეს, რომ ქაჯთა მეფისთვის კი არა, ეს ოქროს შანდალი სამშობლოში წაეღო და დაეხსნა გაჭირებული საქართველო. ავთანდილმა შეისმინა მათი თხოვნა და წაიღო ოქროს შანდალი სამშობლოში, მაგრამ შეხვდა გზაში სომეხი.

— კნიაზ, ავთანდილ, თქვენ ძალიან დაღლილი ხართ, მოისვენეთ ცოტა ხანს და მე ნანას გიმღერო.

ავთანდილს, როგორც ქართველს, მოეწონა ეს აზრი, წამოწვა და მიიძინა. სანამ ავთანდილი გამოიღვიძებდა, სომეხმა ოქროს შანდალი მოჰპარა, ხოლო იმის ნაცვლად ფრაჟისა დაუდგა. როცა გამოიღვიძა ავთანდილს სომეხმა დაასწრო:

— დიდათა გმადლობთ, კნიაზ, რომ ჩემი სიტყვა შეისმინეთ და მეტის-მეტე დაღლილობით თავი არ დაიზიანეთ. ეხლა ღმერთმა მშვიდობიანი მგზავრობა მოგცესო და... განშორდნენ ერთმანეთს.

იხო.

გამოცანები

1.

უზარმაზარი,
ჰაეროვანი,
აბა, მკითხველო,
გამოიცანი.
— გრ. ნიკოს ძე
დიასამიძე.
— მალაღეც!

2.

ოთლო, თოთლო,
თაფლა-თოხლო,
პირადი და
არ სასოფლო.
— ცხენი თუა?
— ნწ! გოთუა!

3.

ერთი რამ სულიერია,
მუდამ რუმბისა ფერია,
სარდაფის კარსა ჰკერია
და ბოთლებისა მტერია...
— ცხოვრებისაგან ტლუკენტი?
— არა, ქართველი სტუდენტი!

4.

ცარიელი, მაგრამ როს
აავსებენ ღვინითა,
გაცოცხლდება, ნავარდობს
მეტის შვება-ღვინითა
და არ ძალუძს, თუ ვინმე
არ მიტყუა ენითა.
— ეგ ხომ კინტო იქნება,
ორთაქალის „ბუკეტი“!

— არა ეც ის არის,
ის, ქართველი სტუდენტი.
ნინო და მარო.

ჩვენებური ამბები

ნავთლული. მკითხველებმა კარგად უწყიან, რომ ნავთლული ერთი ნაწილია თბილისისა. მცხოვრებთა უმრავლესობას შეადგენენ: ქართველები, რუსები და სომხები. უბნის ელფერი, ზნე ჩვეულება, ჩაცმა და ხურვა და სხვა, ყველა ეს სოფლური და ქართველურია. კულტურულათ ძლიერ ჩამორჩენილია სხვა უბნებთან. მართალია არსებობს ერთი სამკითხველო, ნავთლულის რუსული, სომხური და ერთი ქართული სასწავლებელი, არის აგრეთვე ბავშვთა თავშესაფარი, სამხედრო ჰოსპიტალი და სხვა. მაგრამ ყველა ეს გამოჩენილია რჩება, რადგანაც არა გვაქვს ადგილობრივ თეატრი, და სხვა კულტურული დაწესებულება. სამაგიეროდ, ვაქრობა მრეწველობის მხრივ წინ წაწეულია. რას მოისურვებთ, რომ იქ არ მოიპოვებოდეს: საყასო, ვაქისის ქარხანა, ძაღლების საღრჩობ-სატყავებელი, ძვლების დასაწველი, ზეთის სახდელი, აგურხანები და სხვა. ერთის სიტყვით, ჰიგიენურის მხრივ, შეუდარებელია სხვა უბნები ნავთლულთან. როგორც ხეხია, მომავალ ზაფხულისთვის დიდ-ძალი ხალხი აპირებს გადმოსვლას სააგარაკოთ. სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, რომ პოლიტეხნიკუმის გარდა ფიქრობენ, ავღონ ქლექთა სანატორია. ამის შესახებ ქალაქის გამგეობაში კითხვა ირჩევა. როგორც გავიგეთ ხმოსანთა უმრავლესობა, სასურველად სცნობს ქლექთა სანატორიის აგებას, რადგანაც ადგილ-მდებარეობა და ჰაერი იმოქმედებს ავადმყოფებზე და სასარგებლო ნაყოფსაც გამოიღებსო.

ენახოთ მომავალი რას გვიჩვენებს!
ევგენი-ონგენი.

ნაძალადევის მოღვაწეთა კრივა

კვირას, 23 მარტს, მომეცა ბედნიერება და შემთხვევით მოვეყვი ნაძალადევის თეატრში, სადაც წლიური კრება იყო დანიშნული, ნაძალადევის ქართულ წარმართველი წრისა. კრებამ ერთხმად აირჩია თავმჯდომარედ დიდად განათლებული

პირი ბნიქ—ი. განათლებული მეტე იმტომ მოგახსენებთ, რომ ამ მოღვაწე პირმა თუმცა „ქართული“ კარგად იცოდა მაგრამ მაინც კრება რუსულად გახსნა, ხუმრობა საქმე ხომ არ იყო, ამ კრებაზე სამი-ოთხი რუსი იყო არა ქართულის მცოდნე და იმათაც უნდა მოესმინათ თუ არა ჩვენი გამგეობის ნამოღვაწარი. თუ იქ დამსწრე მომეტებულმა ნაწილმა რუსული არ იცოდა, ესენი ხომ მხედველობაშიაც არ არიან მისაღებნი, როგორც „გაუჩათლებელნი“.

ორატორებმა ბევრი ცხარე სიტყვები წარმოხსენეს, თუმცა არაფერი მესმოდა, როგორც გაუნათლებელს, მაგრამ სიცხარეს მღელვარებაზე და სიწითლეზე ვატყობდი თვითთულს. ის იყო მეც პირი გადადე და დავიწყე რაღაც „ცოდვილ ქართულ ენაზე“ მაგრამ სიტყვა პირზე გამეყინა, რადგანაც თავმჯდომარის ხმა გაისმა:

— ნე პერერივატიე გოსპოდა, სლედითუში სლოვო სლედუეტ გოსპოდინუ ბერიშვილი.

ბ-ნ ბერიშვილსაც წამოსკდა რუსული ნაკადული პირიდან, რომელმაც შემდეგის სიტყვებით დაათავა:

— ია პროშუ ობშჩემუ სობრანიე ვიბრატ „პოლკომისიე-ო“. დასწყევლოს ღმერთმა სულ „პოლკომისიას“ განძახოდნენ და კი ვერ გავიგე რას ნიშნავდა ეს „პოლკომისია“ ვერც არავის შევეკითხე. რადგან მეშინოდა უვიცობაში არავინ ჩამომართვას მეტე. რას იზამ „წამწყმინდა წახედულობამაო“ ნათქვამია.

არ შემიძლიან ზოგიერთ არამკითხველს არ უსაყვედურო, რომელნიც გაიძახოდნენ, — ქართულად ილაპარაკეთ არ გვესმისო. მაშე განათლებული რის განათლებულია თუ ქართულად ილაპარაკებს. ჩვენში ხომ განათლების „ტერმომეტრია“ რუსული ლაპარაკი.

დ. მელია.

დ ე კ ე უ

ხონი. აქაურმა მამასახლისმა გუშინ საღამოს 13 საათზე დააპატიმრა 100 ბაყაყი. როგორც გადმოგვცემენ ყველა „უბილეთო“ ყოფილა.

ფოთი. აქაურმა „უჩენიცებმა“ დეპეშა გაუგზავნეს მოარშიყე ყმაწვილებს, რომ აღდგომას ერთათ

წავიდნენ ეკლესიაში. საჭიროა მო-
არშიყე ახალ-გაზდობამ ყურადღება
მიექციონ ამისთანა კეთილ საქმეს
და თან წამოიღონ წითელი კვერ-
ცები. კოცნა კომისიამ თორმეტჯერ
გადაწყვიტა.

ძ. თელავი. თელავის კოოპე-
რაციული საზოგადოება ხანგრძლივ
ავადმყოფობის გამო მოულოდნე-
ლად გარდაიცვალა, რასაც აუწყე-
ბენ პატივცემულ წევრთ საზოგა-
დოებას ჰირსიფუალნი თ-დ ზ. ჯ—ძე.
და თ-დ. შ. ვ—შვილი. ცხედარი
უკვე გამოსვენებულია დასაკრძალ-
ვათ ლუკაშვილის და კიკვიძის ბან-
კში.

ახალგაზდა ექიმების გამრავლების
გამო თელავის რკინის გზის სადგურს
დიდძალი მღვდელ-ღიაკვანი მოაწყდა.

როგორც ხმა დადის შემნახველ-
გამსესხებელ ამხანაგობის ბანკში
საშინელი სნეულება მიძინვარებს.
ჯერჯერობით ამ ავადმყოფობით
ლუკაშვილი და კიკვიძე გამხდარან
ავათ, რომლებსთვისაც „ლახტი“
გამოუწერიათ განსაკუთრავათ.

რუბა.

ხარფუხი. 19 მარტს გათენების
ნ საათზე, ცნობილ მდიდარმა მუ-
სულმანმა თათარმა რეშტი ზადემ
თავის ბინაზე რევოლივერით თავი

მოიკლა თვითმკვლელობის მიზეზი
ორია: პარველი ის, რომ რეშტი-
ზადეს მთელი ღამე ხარფუხის კლუ-
ბში გაუთენებია და კარტში წაუ-
გია 50,000 მ. მეორე მიზეზი ის
გახლავთ, რომ ეს ამოდენა ფული
რეშტი-ზადეს წაუგია ერთა ქრის-
ტიანი ქალის ეშხზე, რომელზედაც
იგი შეყვარებული ყოფილა, მაგრამ
ქალს მტკიცე უარი უთქვამს „კო-
ლაღ“ გაყოლაზე... (აქ ტელეგრა-
ფიული ცნობები არეულია) და ამი-
ტომ რედაქცია ჰფიქრობს, რომ
რეშტი-ზადე მხოლოდ დაჭრილია
და არა მკვდარი.

ამ კლუბის საქმე ჯერ-ჯერო-
ბით ჩინებულად მიმდინარეობს. მამა-
სახლისთა საბჭომ შუამდგომლობა
აღძრა სადაც ჯერ არს, რათა მათ
ნება მიეცეთ, რომ კაპლენდინერებმა
და სხვა ხელზე მოსამსახურებმაც
მონაწილეობა მიიღონ: — კარტის,
ნარდის, ლოტოსი და სხვა გასარ-
თობებში. ამას წინად „საოჯახო
სალამოზე“ მოწვეულ ფოკუსნიკებს,
კლუბის საბჭომ და ხალხმა დიდი
ოვაციები გაუმართეს. დაუღ-ბეგ.

მ კ ი თ ხ ა ვ ი

(გეგას ამბავი)

ვერაზე მოსულა,
ვიღაცა მკითხავია,

მართლა, რომ ჩვენი საქმე
სწორეთ საკიცხავია!

იმიტომ, რომ ამ გვარი,
ლაგამ წაწყვეტილები,
გვტყუებენ, ვჩუმდებით,
დალოცვილი შვილები!

იკითხონ ვინ ატყუებს,
საიდან მოთრეულა
მოდინ კაცო ნუ იტყვის,
ხალხი გადარეულა!

რა ნება აქვს, ამდენი,
ხალხი მოატყუილოს,
თვისი რაღაც ბოდვითა,
კოლ-ქმარი შეაძულოს!

ორი აბაზი ფული,
ვისი მოგებულია?!
მკითხავების მომგონსა,
ოჰ წაუწყდეს სულია!

თურმე ყველა მონა ვართ,
რაღაცა „ბოლნისია!“
მკითხავი ამას ამბობს,
მორჩენა კი ვისაა?!

უნდა ნახოთ „ჰაბაში“
ქალაღლი დაგიწეროთ,
მის ნაბანით იბანოთ
და გული დაიჯეროთ,

მაშინ კი დარწმუნდებით,
მკითხავია მართალი,
მოდინ ნუ გაიცინებ,
სად არის სამართალი?!

შმაგა.



მ დ ი დ რ ი ს უ ვ ი ლ ე ბ ი

- 1-ლი ემაწვილი: მამა დღე-ღამე კლუბში თამაშობს ბანკოს, დედა კიდევ აქ, ჩვენ რი-
ლათი გავფერთოთ?
- 2-ე ემაწვილი: ჩვენ ვთხოვოთ ექსპროპრიატორებს, მოგვიტაცონ, და ასი-ათას მა-
ნეთს მოვიგებთ.
- 3-ე ემაწვილი: ბიკოს! ეგ კარგი აზრია!..